საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამილახვარი ევგენი ვახტანგის ძე

ამილახვარი ევგენი ვახტანგის ძე (1720–11. XII. 1786), მოსკოვის ქართული ახალშენის მოღვაწე.

დაიბადა საქართველოში. ვახტანგ VI-ის ემიგრაციაში წასვლის დროს წაიყვანეს რუსეთში. იმპ. ანა იოანეს ასულის ბრძანებულებით (1738) სხვა ქართვ. თავადებთან ერთად ა-მა მამულები მიიღო უკრაინაში. შევიდა რუს. სამხ. სამსახურში. მიიღო მაიორის ჩინი. შემდეგ სამოქალაქო სამსახურში გააგრძელა მოღვაწეობა. იყო პეტერბ. საგუბერნიო კანცელარიაში გუბერნატორის თანაშემწე, 1753-იდან – მსაჯული, შემდეგ – სამოქალაქო სასამართლოს პრეზიდენტი. განსაკუთრებული წვლილი შეჰქონდა მოსკ. ქართ. ახალშენის საქმიანობაში, რუს.-საქართვ. ურთიერთობის განვითარებაში.

დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში, უფლის მირქმის ტაძრის გალერეაში.

ფ. სიხარულიძე